დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი # 3, 5 ივნისი
რექტორი: ლელა ქელბაქიანი

ქუთაისის უნივერსიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ

წინამდებარე დებულება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანების და ქუთაისის უნივერსიტეტის მოქმედი წესდების საფუძველზე აყალიბებს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესებს.

თავი I. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობები (აკადემიური პერსონალი)

მუხლი 1. აკადემიური თანამდებობები (აკადემიური პერსონალი)

1. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებს მიეკუთვნება: სრული პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობები.
2. სრული პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
3. ასოცირებული პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
4. ასისტენტ-პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელზედაც შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის დოქტორი, დოქტორანტი ან მაგისტრი და თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მეცადინეობებში.

თავი II. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დაკავების და კონკურსის გამოცხადების წესები

მუხლი 2. აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს საკონკურსო კომისია, რომლის გადაწყვეტილება ეყრდნობა კანდიდატების აკადემიურ თანამდებობასთან შესაბამისობის დასადასტურებლად სპეციალურად მოწვეული კომპეტენტური ექსპერტების დასკვნას/შეფასებას.

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის პირობები

1. სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 წლის გამოცდილება.
2. ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი, აგრეთვე შესაძლებელია არჩეულ იქნას მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს მიმართულების შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, სპეციალური მომზადება და პუბლიკაციები.

მუხლი 4. კონკურსის გამოცხადება
1. კონკურსის გამოცხადება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობის განახლების ან/და წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით.
2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობის განახლების შემთხვევაში კონკურსი ცხადდება აკადემიური პერსონალის წევრთა უფლებამოსილების ამოწურვამდე არაუგვიანეს 2 თვით ადრე, ხოლო ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში კონკურსის ვადებს ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო შექმნილი სიტუაციის შესაბამისად.
3. კონკურსს ნიშნავს და აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
4. კონკურსის შესახებ განცხადება ქვეყნდება კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საბუთების მიღების პერიოდია 1 კვირა, კონკურსის შედეგები ცხადდება საბუთების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის შემდეგ.
5. კონკურსის გამოცხადების შესახებ მიღებული დადგენილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო გაცნობისათვის, განცხადების სახით უნდა გამოიკრას უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილებში, ასევე უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გამოქვეყნდეს ბეჭდვითი მედიის რომელიმე ორგანოში.
6. გამოქვეყნებულ განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების, დასრულების, კონკურსის შედეგების გამოქვეყნების თარიღები, ასევე კონკურსის პირობები და კანდიდატების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა.

მუხლი 5. ინტერესთა შეუთავსებლობა
1. ექსპერტი არ შეიძლება იყოს იმავე კონკურსში მონაწილე კანდიდატი.
2. უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, კონკურსანტს, უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის (სრული პროფესორის გარდა) დაკავების შემთხვევაში, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, უფლება აქვს მხოლოდ ერთ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავებისა.
3. უნივერსიტეტის სრულ პროფესორს უფლება არა აქვს დაიკავოს აკადემიური თანამდებობა სხვა რომელიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

თავი I I I. კონკურსის ორგანიზებისა და ჩატარების წესები

მუხლი 6. კონკურსის ორგანიზება

1. კონკურსის ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ექსპერტებისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფასა და სათანადოდ მოწყობას, ასევე კომისიის მდივნის დანიშვნას.

მუხლი 7. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა (კონკურსანტთა) რეგისტრაციის წესი

1. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსში მონაწილეობის მსურველთა (შემდგომში «განმცხადებელი») განცხადებებს (შემდგომში «საკონკურსო განცხადება») იღებს და რეგისტრაციაში ატარებს საკონკურსო კომისიის მდივანი კონკურსის შესახებ განცხადებით განსაზღვრულ ვადებში.
2. საკონკურსო განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნეს დადგენილი ფორმით უნივერსიტეტის რექტორის სახელზე. საკონკურსო განცხადებისა და სხვა საკონკურსო საბუთების სახეს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ხოლო მათ დაბეჭდვას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.
3. საკონკურსო განცხადებაში აღინიშნება: განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, შესაბამისი ფაკულტეტისა და საკონკურსო თანამდებობის დასახელება მიმართულებისა და ამ მიმართულებაში შემავალი არაუმცირეს 3 საგნის მითითებით (უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ჩამონათვალიდან), რომლებშიც შესაძლებლად მიაჩნია სალექციო/პრაქტიკული კურსის მომზადება აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში. აგრეთვე დასტური იმისა, რომ განმცხადებელი გაეცნო უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, კონკურსის ჩატარების წესს (ამ დებულებას), არსებული საკონკურსო თანამდებობების ჩამონათვალსა და საშტატო ერთეულების რაოდენობას, აგრეთვე აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის პირობებს. აქვე კეთდება განმცხადებლის ხელმოწერა და მიეთითება თარიღი.
4. დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს დედნის ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლის და ქსეროასლის სახით, ხოლო ყველა სხვა ინფორმაცია კი - ისეთი სახით, რომ ექსპერტს შეეძლოს მისი უტყუარობის (სისწორის) შემოწმება/დადგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ იქნება მიღებული განსახილველად ან აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება მხედველობაში მიღებული კონკურსანტის მონაცემების შეფასებისას.
5. განცხადების მიღებისას საკონკურსო კომისიის მდივანი ამოწმებს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, წინამდებარე დებულებისა და კონკურსის შესახებ განცხადებაში წარმოდგენილ პირობებთან, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულესა და სისწორეს და ხარვეზის არ არსებობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის კონკურსში მონაწილედ (კონკურსანტად) რეგისტრაციის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტაცია განსახილველად არ მიიღება ხარვეზის აღმოფხვრამდე.

6. განცხადების მიღების შემთხვევაში საკონკურსო კომისიის მდივნის მიერ განმცხადებელზე გაიცემა ცნობა განცხადების მიღების შესახებ, რომელშიც აღინიშნება განმცხადებლის სახელი, გვარი, ფაკულტეტისა და საძიებელი თანამდებობის დასახელება, საშტატო ერთეული (სრული ან ნახევარი), წარმოდგენილი დოკუმენტების სრული ნუსხა ფურცლების რაოდენობის მითითებით, ასევე საბუთების მიღების თარიღი და რიგითი ნომერი. ამასთან, განმცხადებელს უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები (ნოტარიულად დამოწმებული ასლები), ქსეროასლები კი რჩება საკონკურსო კომისიაში.

7. საკონკურსო კომისიისაგან ცნობის ან სხვა რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებს.
8. თითოეულ საკონკურსო ადგილზე რეგისტრირებულ კონკურსანტთა სია ქვეყნდება თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე (სტენდზე).
9. წარმოდგენილ დოკუმენტებში/ინფორმაციაში სიყალბის აღმოჩენისას წყდება საქმის წარმოება შემოსულ განცხადებაზე, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი და წერილობით ეცნობება კონკურსანტს.

მუხლი 8. კონკურსის ჩატარება, კონკურსანტის შერჩევა და შედეგების შეჯამება
1. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, განხორციელდება რა თითოეულ საკონკურსო თანამდებობაზე დარეგისტრირებულ კონკურსანტთა მონაცემების ანალიზი, შესაძლებელია კონკურსანტებს დამატებით მოეთხოვოთ საჯარო ლექციის ჩატარება საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ ერთ-ერთ თემაზე.
2. ექსპერტების მიერ უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსანტთა არჩევა ხდება მათი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით საკონკურსო თანამდებობასთან და შესაბამისი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამასთან (პროგრამებთან), კონკურსანტთა სხვა აქტივობების, მიღწევების, დამსახურებისა და რეპუტაციის გათვალისწინებით.
3. კანდიდატის რეიტინგული შეფასების კრიტერიუმები

- აკადემიური ხარისხი
- სამეცნიერო კვლევის კონცეფცია
- გამოქვეყნებული სტატიები (ბოლო 5 წელი)
- პედაგოგიური მოღვაწეობა
- სწავლების ეფექტური სტრატეგიის ფლობა
- სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების (მათ შორის დისტანციური სწავლება) ეფექტური გამოყენების უნარი
- უცხო ენების ცოდნა
- სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა
- დასრულებული კვლევითი პროექტები (ბოლო ხუთი წლის მანძილზე)
- საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მუშაობის გამოცდილება
- რედაქტორობა
- კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში)
- გამოცემული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები
- კვალიფიკაციის ამაღლება
- ადმინისტრაციული თანამდებობები აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში (ბოლო 5 წელი)

კონკურსანტთა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის მიერ წარმოდგენილი საგნის სწავლების კონცეფციაზე, სამეცნიერო კვლევების კონცეფციაზე, ჩატარებული საჯარო ლექციისა და დისტანციური სწავლებისათვის დამუშავებული თემის ხარისხზე.

სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენისა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების ფლობას.

წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ
2. ერთი ფოტოსურათი ზომით 3x4
3. პირადობის მოწმობის ასლი
4. CV ქართულ და ინგლისურ ენებზე (დამტკიცებული ფორმის მიხედვით, ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია)
5. წერილობითი თანხმობა, აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში აკრედიტაციის მიზნებისათვის ქუს პროფესორად დაფიქსირების შესახებ
6. არჩეული საგნების სწავლების კონცეფცია
7. სამეცნიერო კვლევების კონცეფცია
8. სამეცნიერო და აკადემიური ხარისხების დასადასტურებლად წარმოადგინეთ შესაბამისი დიპლომების ორიგინალები და მათი ქსეროასლები
9. სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ჟურნალის ან ჟურნალიდან ქსეროასლის სახით, თანდართული სარჩევის იმ გვერდის ასლით, რომელზეც აღნიშნული სტატიაა მითითებული
10. დაცული დისერტაციის ხელმძღვანელობის დამადასტურებელ საბუთად ჩაითვლება შესაბამისი ჩანაწერი ავტორეფერატის სატიტულო ფურცელზე, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში თვით ნაშრომის სატიტულო ფურცელზე (ორიგინალის სახით). მიმდინარე დისერტაციის ხელმძღვანელობის დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება სადისერტაციო საბჭოს/დეკანის მიერ დამოწმებული ამონაწერი შესაბამისი ოქმიდან
11. კვლევით პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელ საბუთად ჩაითვლება დიპლომი ან სხვა რაიმე ცნობა, სადაც მითითებული იქნება გრანტის გამცემი ორგანიზაცია, გაცემის წელი და ნომერი
12. სარედაქციო საქმიანობის დამადასტურებლად ჩაითვლება შესაბამისი ჟურნალის რომელიმე ნომერი
13. სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელ საბუთად ჩაითვლება შრომის წიგნაკის ჩანაწერების კანცელარიის მიერ დამოწმებული ქსეროასლი ან ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან
14. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დასადასტურებლად წარმოადგინეთ ამ კონფერენციის კრებულის ორიგინალი და თეზისის ქსეროასლი
15. გამოქვეყნებული წიგნების ავტორობის დასადასტურებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი წიგნი
16. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ტრენინგებში მონაწილეობის დასადასტურებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი სერთიფიკატის ორიგინალი და ქსეროასლი.
17. საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მუშაობის გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს ცნობა შესაბამისი გრანტის გამცემი ან განმახორციელებელი ორგანიზაციიდან.
18. დისტანციური სწავლებისათვის წარმოსადგენი თემა დამუშავებული უნდა იყოს დისტანციური სასწავლო კურსის წარმოდგენის ინსტრუქციის მიხედვით (დანართი 1).

თავი IV. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება და აკადემიური პერსონალის ახლად არჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობა

მუხლი 9. კონკურსის შედეგების გამოქვეყნება

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია კონკურსის შედეგებს აქვეყნებს თითოეულ აკადემიურ თანამდებობაზე/საკონკურსო ადგილზე კონკურსის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული ვადისა.
2. კონკურსის შედეგები უნდა გამოიკრას უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილებში, ასევე უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მუხლი 10. აკადემიური პერსონალის ახლად არჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობა

1. აკადემიური პერსონალის ახლად არჩეული წევრის უფლებამოსილება ძალაში შედის რექტორის ბრძანების საფუძველზე შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.